

**მოსახლეობის საარჩევნო აქტივობის ზრდა საქართველოში -  
2002 წლის მუნიციპალური არჩევნები**

დავით ლოსაბერიძე  
მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების  
კავკასიური ინსტიტუტი  
20 ივნისი, 2002

**შესავალი**

ათ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველომ კვლავ მოიპოვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. სოციალისტური სისტემის ღრმა კრიზისმა და საბჭოთა კავშირის დაშლამ ხელი შეუწყო იმ იდეალების ხორცშესხმას, რასაც ქართული ნაციონალური მოძრაობა ისახავდა მიზნად XIX-XX საუკუნეთა მანძილზე. აღნიშნული იდეის წარმოშობას ბუნებრივია, გააჩნდა თავისი საფუძველი. დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობის სამიათასწლოვანი ისტორია დასრულდა, როცა XIX ს. დასაწყისში რუსეთის იმპერიამ გააუქმა ქართული სამეფო-სამთავროები და ქვეყანაში ადგილობრივი მოსახლეობისათვის უცხო ადმინისტრაცია დაწესდა. XIX საუკუნის II ნახევრიდან საქართველოში იწყება ნაციონალური მოძრაობა, რომლის წარმომადგენლებიც სხვადასხვა ხარისხით ითხოვდნენ ეროვნული თვითმყოფადობის აღდგენას, დაწესებული რუსეთის იმპერიაში ფართო ავტონომიის მიღწევით (რუსეთის პოლონეთისა და ფინეთის სამთავროს მსგავსად) და დამთავრებული სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობით. ამ მხრივ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ახლოს იდგა ცენტრალური ევროპის ერებში მიმდინარე ანალოგიურ პროცესებთან, რომლებიც ავტრო-უნგრეთის, კაიზერული გერმანიისა და რუსეთის იმპერიების დაშლასა და ეროვნული სახელმწიფოების წარმოშობას ისახავდა მიზნად.

რუსეთის 1917 წლის თებერვლის დემოკრატიული რევოლუციისა და მონარქიის გაუქმების შედეგად საქართველოს ხელახლა მიეცა დამოუკიდებლობის აღდგენის საშუალება. 1918 წლის 26 მაისს შექმნილმა საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სამი წელი (1918-1921) იარსება და მოახერხა შეექმნა მეტნაკლებად გამართული სახელმწიფო სისტემა. ჩატარდა დემოკრატიული საპარლამენტო და მუნიციპალური არჩევნები (1919), მიღებულ იქნა ქვეყნის კონსტიტუცია (1921) და ა.შ.

1921 წლის თებერვალში, ბოლშევიკური რუსეთის მხრიდან დაწესებული აგრესიის შედეგად, ქართულმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა. საქართველო, როგორც ფსევდოდამოუკიდებელი სოციალისტური რესპუბლიკა, შევიდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

XX საუკუნის 80-იან წლებში საბჭოთა სისტემის კრიზისის პირობებში დაწესებულმა გარდაქმნისა და დემოკრატიის პროცესმა კავკასიაში, ისევე როგორც ბალტიისპირეთში და სსრკ-ს სხვა რესპუბლიკებში, ნაციონალისტური მოძრაობების აღმოცენებას შეუწყო ხელი. პერესტროიკის პერიოდში ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეა გასცდა დისიდენტური და ინტელექტუალური წრეების ფარგლებს და საყოველთაო ხასიათი მიიღო.

ცენტრალური ევროპის ქვეყნებისა და საბჭოთა ბალტიის რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, საქართველოს არც ინტელექტუალურ, და არც ახლადწარმოშობილ პოლიტიკურ ელიტას, არ გააჩნდა სახელმწიფო მშენებლობის მწყობრი კონცეფცია. უმთავრეს მიზნად გამოცხადდა საქართველოს გასვლა სსრკ-ს შემადგენლობიდან და საერთაშორისო საზოგადოების მიერ ამ ფაქტის აღიარება. რაც შეეხება სახელმწიფოებრივი

მოწვობის საკითხს, იგი გარკვეულ მითოპოლიტიკურ საფუძველს (ანტიკური თუ ფეოდალური პერიოდის საქართველოს ძლიერების კონსტატაცია, ქვეყანაში ათასწლეულთა მანძილზე არსებული პროდასავლური ორიენტაცია და ა.შ.) ეყრდნობოდა და რეალობასთან არაფერი ჰქონდა საერთო.

ყოველივე ზემოთქმულმა ახლადწარმოშობილი ქართული სახელმწიფოს წინაშე მთელი რიგი მწვავე პრობლემები დააყენა:

- ერთიანი საბჭოთა ეკონომიკური სივრცის რღვევამ ქვეყანაში, რომლის პროდუქციაც უმთავრესად საბჭოთა კავშირის შიდაბაზარზე გადიოდა, ეკონომიკური კოლაფსი გამოიწვია.
- ქართული ნაციონალური მოძრაობა ფაქტიურად ეთნოცენტრისტულ მიმდინარეობას წარმოადგენდა და მან ვერ გამონახა საერთო ენა ქვეყანაში არსებულ ეთნიკურ უმცირესობებთან, რომლებიც მოსახლეობის 30%-ს შეადგენდნენ.
- საბჭოთა პერიოდში შექმნილმა ეთნიკურმა ავტონომიურმა წარმონაქმნებმა (ავხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი), ოფიციალური მოსკოვის აშკარა მხარდაჭერით, შეიარაღებული ბრძოლა დაიწყეს, რომლის მიზანსაც აღნიშნულ ავტონომიების ტერიტორიებზე დამოუკიდებელი მონოეთნიკური სახელმწიფოების დაფუძნება წარმოადგენდა.
- ხელისუფლების სათავეში მოსული დისიდენტური წრეებისა და ყოფილი საბჭოთა ნომენკლატურის სიმბიოზმა ვერ მოახერხა საზოგადოებისათვის შეეთავაზებინა განვითარების დემოკრატიული მოდელი, რამაც ქვეყანა სახელმწიფო გადატრიალებამდე და სამოქალაქო ომამდე მიიყვანა.
- საზოგადოებაში არსებულმა ძლიერმა პატრიმონიალურმა მენტალობამ მმართველ ელიტაში პოლიტიკური და ეკონომიკური კლანების წარმოშობას და/ან გაძლიერებას შეუწყო ხელი.

აღნიშნული გარემოებები განაპირობა როგორც ობიექტურმა, ისე სუბიექტურმა ფაქტორებმა.

სახელმწიფოებრივი არსებობის ტრადიციის არქონა, რაც ორსაუკუნოვანი კოლონიური პერიოდის შედეგს წარმოადგენს; თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის სირთულე და რუსეთის იმპერიული წრეების მცდელობა, საქართველო და კავკასია კვლავ თავისი გავლენის სფეროში იხილონ - ობიექტურ ფაქტორებს წარმოადგენს.

სუბიექტური ფაქტორებიდან უპირველეს ყოვლისა უნდა დასახელდეს პოლიტიკური ლიდერების მოუმზადებლობა და ხშირად ოდიოზური გამონდომები; ბიუროკრატიაში რადიკალური გარდაქმნებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება და სრული მოუმზადებლობა; სამოქალაქო საზოგადოების ტრადიციული სისუსტე ქვეყანაში.

დღეისათვის ქართული სახელმწიფოს წინაშე დგას ორი უმთავრესი პრობლემა:

- საზოგადოებრივი აპათია და ტოტალური უნდობლობა სახელმწიფოსადმი<sup>1</sup>.
- ხელისუფლებაში კეთილი ნების დიდი დეფიციტი, რომლის გარეშეც შეუძლებელია მეტნაკლებად წარმატებული რეფორმების განხორციელება.

\* \* \*

დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა წარმოუდგენელია ფუნქციონირებისა და ხელისუფლების დეცენტრალიზაციის გარეშე. აქედან

<sup>1</sup> ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევები და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები გვიჩვენებენ სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებისადმი მოსახლეობის ნდობის კატასტროფულ შემცირებას 90-იანი წლების განმავლობაში - დაახ. 80%-დან 20%-მდე.

გამომდინარე, რეალური თვითმმართველობის დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ქვეყნებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

სამწუხაროდ საქართველოში ამ სფეროში კიდევ უფრო რთული მდგომარეობაა, ვიდრე საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ სხვა სფეროში. თვითმმართველობის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბების პროცესი საქართველოში საკმაოდ მტკივნეულად მიმდინარეობს, მისთვის დამახასიათებელია პრიორიტეტთა ხშირი ცვლა. ხშირად უკვე მიღწეულზე უარის თქმა და შედარებით კონსერვატიულ სიტემისაკენ შემობრუნების მაგალითები<sup>2</sup>.

გარდა იმ საერთო მიზეზებისა, რომლებიც საერთოდ საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ პროცესებს ახასიათებს, ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების პროცესს თავისი განსაკუთრებული მიზეზები გააჩნია, რომელიც ასევე შეიძლება ობიექტურ და სუბიექტურ ჯგუფად იყოს დაყოფილი.

ობიექტური მიზეზები:

**თვითმმართველობის ტრადიციის არქონა** - საქართველოს არ გააჩნია თვითმმართველობის ხანგრძლივი გამოცდილება, თუ არ ჩავთვლით შუასაუკუნეებში თბილისში კომუნისა და 1919-1921 წლებში ქვეყანაში მეტნაკლებად წარმატებულ მუნიციპალიტეტების არსებობის ფაქტებს. არ შეიძლება ვილაპარაკოთ უწყვეტი ტრადიციების არსებობაზე, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ 70 წლიან ტოტალიტარული მმართველობის პერიოდს.

**ეთნიკური საკითხი** - გამომდინარე იქიდან, რომ ეთნიკური ანკლავები ძირითადად ქვეყნის სასაზღვრო ზოლშია განლაგებული, როგორც პოლიტიკურა ელიტა, ისე საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ეჭვის თვალით უყურებს დეცენტრალიზაციას, რადგან მასში ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობის შერყევის საფრთხეს ხედავს<sup>3</sup>.

**ეკონომიკური კრიზისი** - საბჭოური ეკონომიკის ნგრევის შედეგად გამოწვეულმა ცხოვრების დონის მკვეთრმა გაუარესებამ, უმუშევრობის არნახულმა ზრდამ, საგადასახადო ბაზის მკვეთრმა შემცირებამ და ბიუჯეტის ქრონიკულმა დეფიციტმა გამოიწვია ის, რომ მუნიციპალურ ერთეულებს, მათთვის ფართო უფლებამოსილებათა გადაცემის შემთხვევაშიც კი, არ ექნებათ საშუალება, დააკმაყოფილონ ადგილობრივი თემის თუნდაც ელემენტარული მოთხოვნილებანი<sup>4</sup>.

სუბიექტური მიზეზები:

**თვითმმართველობის მნიშვნელობის შეფასება** - საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის მთელ მანძილზე მუნიციპალიზაციისა და ადგილობრივი დემოკრატიის ხელშეწყობის საკითხი მეორეხარისხოვან პრობლემად იყო მიჩნეული. პოლიტიკური ძალები თვლიდნენ, რომ ქვეყნის წინაშე სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საკითხები (საგარეო პოლიტიკა, ეთნიკური კონფლიქტების გადაჭრა და ა.შ.) იდგა.

**ერთიანი გეგმის არარსებობა** - 1991 წლიდან დღემდე ვერც ქვეყნის ხელისუფლებამ და ვერც ინტელექტუალურმა ელიტამ ვერ მოახერხა

<sup>2</sup> ამის დასტურია მაგალითები საკანონმდებლო პრაქტიკიდან და პარლამენტში გამართულ დებატებიდან, კერძოდ თვითმმართველობის შესახებ ორგანულ კანონში ცვლილებების თაობაზე 2001 წლის ზაფხულში.

<sup>3</sup> სამხრეთ საქართველოში, სომხეთისა და აზერბაიჯანის მოსაზღვრე რეგიონები ამ ორი ეთნოსის წარმომადგენლებითაა კომპაქტურად დასახლებული. ჯავახეთის (საქართველოში არსებული უმსხვილესი სომხური ანკლავის) მოსახლეობის ნებისმიერი მოთხოვნა თავიანთი უფლების დასაცავად ცენტრალურ ხელისუფლებასა და დედაქალაქის მასშედიში ეთნიკური სეპარატიზმის გამოვლინებად მიიჩნევა.

<sup>4</sup> ზოგიერთი მცირე მუნიციპალიტეტის შემოსავალი მუნიციპალიტეტის აპარატის თანამშრომელთა მინიმალურ ხელფასსაც ვერ ფარავს.

მუნიციპალიზაციისა და დაცენტრალიზაციის არა თუ სისტემის, არამედ მეტნაკლებად მისაღები კონცეფციის ჩამოყალიბებაც კი<sup>5</sup>.

**პოლიტიკური კონსტიტუციის პრიმატი** - თვითმმართველობის დამკვიდრების საკითხი წარმოადგენს სავაჭრო გარიგებების საგანს (ამ სიტყვის ყველაზე უარყოფითი გაგებით) ხელისუფლებასა და პოლიტიკურ პარტიებს შორის ურთიერთობაში - ხშირად ხდება აღნიშნული პრობლემის წინწამოწევა ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მხრიდან, მაგრამ ცალკეული კონსტიტუციური გარიგებების მიღწევისთანავე იგი კვლავ დავიწყებას ეძლევა<sup>6</sup>.

**მართვის ძველი სტილი** - ქართული ბიუროკრატიისათვის, რომელიც უმეტესწილად ძველი, კომუნისტური ნომენკლატურისაგან შედგება, არა თუ მიუღებელი, არამედ საერთოდ უცნობია მართვის დემოკრატიული სტილი. ეს განსაკუთრებით ეხება საქართველოს რეგიონებს, სადაც ძველი ტრადიციის ზეგავლენით, ბიუროკრატია ელოდება, რას უბრძანებს თბილისი (ცენტრალური ხელისუფლება) იმ შემთხვევაშიც კი, როცა იგი ვალდებულია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება.

საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის, როგორც წესი, ძალზე დაბალი დონე, სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან რეალური კონტროლის სისტემის არარსებობა და კორუფციის ფართო გავრცელება აღნიშნული სურათის მიხედვით წარმოადგენს და შედეგსაც.

## თვითმმართველობის სიტემის ფუნქციონირება

**სტრუქტურა** - ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურის შესახებ საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ სისტემა არასრულყოფილი და მართვის საბჭოური სტილის მატარებელია, ხოლო მისი ფორმირების წესი ნაკლებდემოკრატიულია, სადაც უმთავრეს თანამდებობათა უმეტესობა არაარჩევითია.

საქართველოს თვითმმართველობა ორდონიანია:

- პირველ დონეს წარმოადგენს მუნიციპალური დონე (სოფელი, თემი, დაბა, მცირე ქალაქი), სადაც რეალურ მმართველს არჩეული ადგილობრივი საბჭო ახორციელებს. რამდენიმე გამონაკლისის გარდა (შედარებით მხვილი ქალაქები) საბჭოს თავმჯდომარე იმავდროულად არის ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი<sup>7</sup>.
- თვითმმართველობის მეორე დონეს წარმოადგენს რაიონი და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქები. ქალაქთა საბჭოები ირჩევა მოსახლეობის მიერ. ხოლო რაიონის საბჭო შედგება რაიონში გაერთიანებული მუნიციპალიტეტების წარმომადგენელთა ასოცირებული წარმომადგენლებისაგან<sup>8</sup>.

**ფორმირება** - მოსახლეობის ოდენობიდან და სტატუსიდან გამომდინარე, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების დაკომპლექტების წესები განსხვავდება ერთმანეთისაგან. პირველი დონის არჩევითი საბჭოები ქმნიან აღმასრულებელ ნაწილს. რაიონების ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ასოცირებული საბჭოს შემადგენლობიდან ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. დიდ ქალაქებიდან ორი მათგანის (დედაქალაქი - თბილისი და საპორტო

<sup>5</sup> თუმცა ცალკეული ორგანიზაციისა თუ ექსპერტების მიერ რამდენიმე მოდელი იყო წარმოდგენილი, ისინი იდეების კონსტრუქციის დონეზე დარჩნენ, ამასთან არც საზოგადოებრივი განხილვის საგნად ქცეულან.

<sup>6</sup> როგორც წესი, თვითმმართველობის პრობლემის წინწამოწევის ფაქტები პარლამენტის ფრაქციათა მხრიდან ბიუჯეტების დამტკიცებისა თუ საკადრო გადაადგილებებთან დაკავშირებული დებატების პერიოდში იჩენს თავს.

<sup>7</sup> სულ 966 ერთეული.

<sup>8</sup> სულ 65 ერთეული.

ქალაქი ფოთი) მერები ასევე ინიშნებიან პრეზიდენტის მიერ და მოსახლეობის კონტროლი ეკონომიკურად ორი ყველაზე ძლიერი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ შტოზე ფაქტიურად არ არსებობს. არჩევნების სიტემის არასრულყოფილება, საარჩევნო პროცედურების უხეში დარღვევა (პოლიციის და სხვა ძალოვანი სტრუქტურების არამოტივირებული ჩარევა საარჩევნო პროცესში) და ხელისუფლების მხრიდან არჩევნების შედეგების სულ უფრო და უფრო მზარდი ფალსიფიცირების ხარისხი საერთაშორისო საზოგადოების შემფოტებას იწვევს.

**საკანონმდებლო ბაზა** - თვითმმართველობის ერთერთ უმთავრეს ნაკლს წარმოადგენს ფუნქციების გაუმიჯნაობა სხვადასხვა დონის ხელისუფლებებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ არსებული სისტემა უკვე 5 წელია რაც მოქმედებს, ჯერ კიდევ არ არის მიღებული ისეთი კანონები, როგორცაა მაგალითად კანონები ადგილობრივი ბიუჯეტების, მუნიციპალური საკუთრებისა და სახელმწიფო ტრანსფერტების შესახებ<sup>9</sup>. აღნიშნულ სფეროებში ურთიერთობა პრეზიდენტისა და სხვადასხვა სამინისტროს მიერ გამოცემული განკარგულებებით რეგულირდება, რომლებიც ხშირად იცვლება, ასევე ხშირად ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობასა თუ კონსტიტუციურ ნორმებს და ხშირად კანონებთან შედარებით, აშკარა პრიორიტეტით სარგებლობს. მიღებული საკანონმდებლო აქტების უმეტესობა ასევე ხშირად მოდის წინააღმდეგობაში არა მარტო ერთმანეთთან, არამედ საკუთარ თავთანაც. ხშირია შემთხვევები, როცა ერთი კანონის სხვადასხვა მუხლი პრინციპში ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

**ადგილობრივი საკუთრება და ფინანსები** - ადგილობრივი, მუნიციპალური საკუთრება, ამ სიტყვის კლასიკური გაგებით, ქვეყანაში არ არსებობს. ამა თუ იმ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საწარმოები თუ სხვა ობიექტები ან პრივატიზებულია, ან ორმაგ დაქვემდებარებაში იმყოფება. როგორც წესი, ეს უკანასკნელი ცენტრალური ხელისუფლების რომელიმე სტრუქტურას (სამინისტროს) და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნულ ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ერთდროულად ექვემდებარება. ბურჟსითაა მოცული ადგილობრივი შემოსავლებისა და გასაღების ფორმირების საკითხი. ადგილობრივი გადასახადები, საუკეთესო შემთხვევაში, მუნიციპალური ბიუჯეტის 10%-საც არ შეადგენს. ადგილობრივი ბიუჯეტების შევსება საერთო სახელმწიფო გადასახადების ადგილზე დატოვებული ნაწილისა და მიზნობრივი ტრანსფერტების ხარჯზე ხდება. როგორც წესი, ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის 80-90% წინასწარაა განსაზღვრული ცენტრალური ხელისუფლების მიერ. ბუნებრივია, ასეთ პირობებში მუნიციპალური საბიუჯეტო პროცესის დამოუკიდებლობაზე საუბარი აზრს კარგავს<sup>10</sup>.

**პრაქტიკა** - ყოველდღიურ მართვის პროცესში უნდა აღინიშნოს არაფორმალური კავშირების დიდი როლი. ასეთი კავშირები ავსებენ საკანონმდებლო სფეროში ვაკუუმს და პატრიმონიალური ურთიერთობის ფორმებში ვლინდებიან. არჩევნებიდან მოყოლებული, სახელმწიფო აპარატი თვითნებურად წრმართავს მართვის პროცესს. გარანტირებული საქმიანობის ფაქტიურად ერთადერთ მექანიზმს ცენტრალურ ხელისუფლებაში მყოფ მაღალი რანგის მოხელეებთან (მინისტრები, სახელმწიფო დეპარტამენტების ხელმძღვანელები) და ეკონომიკურ კლანთა წარმომადგენლებთან (როგორც წესი უმაღლესი რანგის მოხელეები და მათი ნათესავები, პრეზიდენტის ოჯახის ჩათვლით) არსებული მეგობრული თუ კლიენტელური ურთიერთობა

<sup>9</sup> მოქმედი კანონმდებლობის თანახმად აღნიშნული კანონები ჯერ კიდევ 1997 წელს უნდა ყოფილიყო მიღებული.

<sup>10</sup> ადგილობრივი ბიუჯეტებს, როგორც წესი ფინანსთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები ადგენენ. მუნიციპალური საბჭოების მონაწილეობა ამ პროცესში თითქმის ყოველთვის ფორმალურ ხასიათს ატარებს.

წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ბიუროკრატის ქვედა ეშელონებში (განსაკუთრებით რეგიონებში) ძალზე ხშირად გვხვდება მოხელის მიერ საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების უცოდინარობის ფაქტები, დაბალი სამოქალაქო აქტივობისა და ხელისუფლების მიერ ძალოვანი მეთოდების გამოყენების წყალობით, კონტროლი მოსახლეობაზე შენარჩუნებულია.

\* \* \*

ზემოაღნიშნულ პროცესებში რამდენიმე მოქმედი აგენტია, რომელთაც საკუთარი საქმიანობის სტილი და ქცევის კოდექსი გააჩნიათ.

**1. ცენტრალური ხელისუფლებისთვის** დამახასიათებელია გაურკვეველი პოლიტიკა. მის საქმიანობაში დიდ როლს თამაშობს ცალკეული ლობისტური ჯგუფები, რომლებიც საპარლამენტო თუ სამთავრობო პოლიტიკური ბატალიების ფორმით მიმდინარეობს და კლანური, როგორც წესი, არაკანონიერი ინტერესების გატარებას ისახავს მიზნად. ერთადერთი, რაც დანამდვილებით შეიძლება ითქვას ისაა, რომ ნომენკლატურა ცდილობს სხვადასხვა მიზეზებზე აპელირებით მაქსიმალურად გაიხანგრძლივოს კონტროლი მმართველობის ადგილობრივ ორგანოებზე და არ დაუშვას მართვის ძველი სტილის შეცვლა წარმომადგენლობითი დემოკრატიის პრინციპით.

**2. პოლიტიკური პარტიები** - საქართველოს პოლიტიკური პარტიები ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

- გარკვეული იდეოლოგიის მატარებელი პოლიტიკური ჯგუფები, რომელთა აქტივობის ხარისხი და რეიტინგი დაბალია და საზოგადოებაზე მათი გავლენა დღითიდღე სუსტდება.
- პოლიტიკურ პარტიების საფარს ამოფარებული კლანები, რომლებიც ცალკეულ ლიდერთა გარშემო აერთიანებს ნომენკლატურისა და ნახევრადმაფიოზური დაჯგუფებების წარმომადგენლებს. ამ ტიპის პარტიებს გააჩნიათ როგორც ამომრჩევლის მოსყიდვისათვის აუცილებელი სახსრები, ისე კონტროლი ძალოვან სტრუქტურებზე და ურთიერთგარიგების გზით ახდენენ ამა თუ იმ სფეროზე თუ რეგიონზე სრული კონტროლის მოპოვებას.

ბოლო ხანებში გამოიკვეთა კიდევ ერთი ტენდენცია - არსებული კრიზისის ფონზე პოლიტიკურ ძალათა ნაწილი საზოგადოებაში რეიტინგის გაზრდას ხელისუფლების რადიკალური კრიტიკისა და პოპულისტური მოწოდებების გზით ცდილობს. თითქმის არც ერთ პარტიას არ გააჩნია მოქმედების ნათელი პროგრამა და ზოგადი ღოზუნგების დეკლარირებით შემოიფარგლება.

**3. სამოქალაქო ორგანიზაციები** - სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში ძირითადად მხოლოდ სამოქალაქო ორგანიზაციებით (არასამთავრობო ორგანიზაციები) არის წარმოდგენილი<sup>11</sup>. სათემო ორგანიზაციები მხოლოდ ახლა იწყებენ ჩამოყალიბებას, ხოლო საზოგადოებრივი ინტერესების დამცველი სხვა სახის გაერთიანებები (პროფკავშირები და ა.შ.), მცირე გამონაკლისის გარდა, საბჭოური პერიოდის რელიქტებს წარმოადგენენ და ხელისუფლების კონტროლქვეშ იმყოფებიან.

არასამთავრობო სექტორი, მიუხედავად გავითარების საკმაოდ მაღალი დონისა, რეალურ გავლენას ვერ ახდენს პოლიტიკის ფორმირებაზე. მისი გავლენა საზოგადოებაზე ჯერ კიდევ სუსტია. ამავე დროს, სახელმწიფო თუ კერძო სექტორის სისუსტისა და დაუინტერესებლობის გამო, მესამე სექტორი ძირითადად საერთაშორისო და დასავლური დონორების დახმარების წყალობით არსებობს.

<sup>11</sup> საქართველოში 4ათ. არასამთავრობო ორგანიზაციაა რეგისტრირებული, მაგრამ მათი აბსოლუტური უმრავლესობა (დაახ. 90%) მხოლოდ ფორმალურად არსებობს.

ბოლო ხანებში შეიმჩნევა სულ უფრო და უფრო მეტი არასამთავრობო ორგანიზაციის დაინტერესება ადგილობრივი თვითმმართველობისა და არჩევნების პრობლემატიკით, რაც მთელი რიგი კოალიციების ჩამოყალიბებასა და ერთობლივ საქმიანობებში გამოიხატება.

**4. კერძო სექტორი** - ადგილობრივი ბიზნესი საქართველოში ჯერ ისევ სუსტია. არახელსაყრელი პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო ხელს არ უწყობს ქვეყანაში მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ინვესტიციების მოზიდვას. ქართველ მეწარმეთა უდიდეს ნაწილს უკანონო პრივატიზაციისა და ფინანსური მაქინაციების შედეგად კაპიტალის პირველადი დაგროვების პროცესში მყოფი პირები წარმოადგენენ.

ფაქტიურად ყოველი წარმატებული ბიზნესის უკან დგას ძლიერი მფარველი, უმაღლესი სახელმწიფო მოხელისა თუ მისი ოჯახის წევრის სახით. ის მეწარმეები, რომელთაც არ გააჩნიათ ე.წ. კრიშები (ქოლგები), ცდილობენ ჩაერთონ პოლიტიკაში და თვითონ დაიცვან თავიანთი უფლებები, რაც ძირითადად გადასახადებისაგან თავის არიდებასა და სახელმწიფოსათვის პროტექციონისტური კურსის გატარების მოთხოვნაში გამოიხატება.

რეგიონებში ბიზნესი კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაშია. არასწორი (და ხშირ შემთხვევაში არაკანონიერი) პრივატიზაციის პროცესის შედეგად აქ ჩამოყალიბდა მესაკუთრეთა განსხვავებული ფენა. მათი წარმომადგენლები, როგორც წესი, ადგილობრივი ადმინისტრაციების ყოფილი ან მოქმედი ხელმძღვანელები და მათი ნათესავები არიან. მათ ხელში აღმოჩნდა მომსახურების სფეროსა და მუნიციპალური სერვისის დიდი ნაწილი. აღნიშნული ობიექტების მნიშვნელოვანი ნაწილი არ მუშაობს, ვინაიდან ინვესტიციების მოზიდვა ფაქტიურად არ ხდება, ხოლო ის მცირე ნაწილი, რომელიც კვლავ განაგრძობს ფუნქციონირებას, მომსახურების დაბალი ხარისხითა და მაღალი ფასებით გამოირჩევა.

**5. მასშეღია** - დამოუკიდებელი მედიის ჩამოყალიბების პროცესი შედარებით წინაა წასული, მაგრამ აქაც საკმაოდაა პრობლემები. მედიის ნაწილს პოლიტიკური ძალები და ოლიგარქული წრეები აკონტროლებენ. მწვავედ დგას სერიოზული ინვესტიციების არარსებობის პრობლემა. დამოუკიდებელი მედია, რომელიც სამომხმარებლო ბაზარზეა ორიენტირებული, ძირითად ყურადღებას სკანდალური ხასიათის ინფორმაციას უთმობს და თანდათან გადადის ყვითელი პრესის რანგში. მეტად მცირეა პრობლემების პროფესიონალური შეფასების შემთხვევები. აღნიშნულ პრობლემას აძლიერებს ჟურნალისტთა კორპუსის კვალიფიკაციის არცთუ ისე მაღალი დონე.

ზემოსხუნებულ მიზეზთა გამო ისეთი საკითხების გაშუქება, სადაც სკანდალური ინფორმაცია ნაკლებია და კვალიფიკაციის გარკვეულ დონეს მოითხოვს (იგივე თვითმმართველობისა და დეცენტრალიზაციის საკითხი), მედიაში ნაკლებად ხდება.

**6. საერთაშორისო და უცხოური ორგანიზაციები** - ვინაიდან ქვეყანაში არ არსებობს გარდაქმნისათვის აუცილებელი მძლავრი შინაგანი იმპულსი, ხოლო გამოკვეთილი ინტერესთა ჯგუფებისა და შუალედური ფენის არარსებობა არ იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგარეო ფაქტორების ზემოქმედების ხარისხს.

სამწუხაროდ, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორების პოლიტიკა ბოლო დრომდე არაურთიერთკოორდინირებული იყო და არ ითვალისწინებდა ქვეყნის სპეციფიკას.

წლების განმავლობაში აქცენტი კეთდებოდა არსებული სისტემის გარდაქმნაზე და არა დემონტაჟზე. ამ მიზანს ემსახურებოდა ტექნიკური და სხვა სახის საკმაოდ სერიოზული დახმარება. როგორც წესი, ნაკლებიად მახვილდებოდა ყურადღება პრობლემებზე და იგრძნობოდა გარკვეული კმაყოფილება მიღწეული სიტუაციის გამო, რაც ფაქტიურად ქვეყანაში სტატუს კვოს შენარჩუნების მცდელობას წარმოადგენდა. უფრო მეტიც,

ზოგიერთი დასავლური ორგანიზაციის არაკორექტულმა და გაუაზრებელმა მცდელობამ წარმოშვა კორუფციის პრევენციები უცხოური ორგანიზაციებისა და ქართული ბიუროკრატის ურთიერთობის პროცესში.

აღნიშნულმა გარემოებამ მკვეთრად შელახა დასავლეთის, როგორც დემოკრატიის ციტადელის იმიჯი საზოგადოების თვალში და ქვეყანაში ანტიდასავლური განწყობის ზრდას შეუწყო ხელი.

ბოლო დროს შეიმჩნევა დადებითი ძვრებიც - საერთაშორისო დონორმა ორგანიზაციებმა საქმიანობების დაგეგმვისას დაიწყეს ადგილობრივ დამოუკიდებელ ექსპერტთა აზრის გათვალისწინება, ყურადღება მახვილდება ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორცაა საერთაშორისო პროგრამების გამჭვირვალება და მონიტორინგის პროცესში საზოგადოების წარმომადგენელთა ჩართვა<sup>12</sup>.

## საზოგადოების განწყობა

როგორც ხელისუფლების, ისე სხვა მოქმედი აგენტების საქმიანობის უმთავრეს შემფასებელს საზოგადოება წარმოადგენს, ვინაიდან სწორედ იგია ქვეყანაში განხორციელებული შედეგების ბენეფიციარი. სამწუხაროდ, საზოგადოება და სახელმწიფო განვითარების სხვადასხვა გზით მიდიან. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არ თვლის, რომ საზოგადოებრივი ინტერესები დაცულია სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან, უფრო მეტიც, მტრად მიიჩნევენ ამ უკანასკნელს.

ის ბზარი, რომელიც არსებობს რეფორმების განხორციელებელი სუბიექტების ქცევასა და საზოგადოების მხრიდან შეფასებას შორის, მრავალი მიზეზით შეიძლება აიხსნას. პირველ რიგში აუცილებელია საზოგადოებრივი ცნობიერების განსაზღვრა. საჭიროა დადგინდეს რა ეთიკური ქცევის ნორმები მართავს ამ უკანასკნელს.

ქართული საზოგადოების ცხოვრების წესი ახლს დგას ერთი მხრივ ხმელთაშუაზღვისპირული, ხოლო მეორეს მხრივ, წინააზიური კულტურული სამყაროსათვის დამახასიათებელ მენტალობებთან. მისთვის დამახასიათებელია უნდობლობა ოფიციალური, სახელმწიფო სტრუქტურებისადმი და არაფორმალური ურთიერთობების დიდ როლი ყოველდღიურ ცხოვრებაში.

საქართველოსათვის თავსმოხვეულმა უცხო სახელმწიფო სისტემებმა, რუსეთის იმპერიულმა მართვის მოდელმა (XIX ს. - XX ს. დასაწყისი) და განსაკუთრებით საბჭოურმა ტოტალიტარიზმის 70 წლიანმა ბატონობამ კიდევ უფრო გააძლიერა უნდობლობის ხარისხი.

ისტორიული განვითარების თავისებურებებიდან გამომდინარე, ქვეყანაში მოხდა ფეოდალური სისტემისათვის დამახასიათებელი პატრიმონიალური აზროვნების კონსერვაცია. ამ მოვლენას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ სახელმწიფოებრივი მართვის არსებული მოდელი ბოლო ორი საუკუნის მანძილზე ძირეულად განსხვავდებოდა საზოგადოების შინაგანის განვითარების შედეგად წარმოშობილი მოთხოვნილებებისაგან.

თანამედროვე ქართული მენტალობა დუალისტური ფორმით ჩამოყალიბდა. საზოგადოების წევრები ფორმალურად აღიარებენ არსებულ იურიდიულ ნორმებს, მაგრამ რეალობაში ხელმძღვანელობენ კვაზისახელმწიფოებრივი ქცევის კოდექსით.

მოვიტან მხოლოდ ერთ მაგალითს აღნიშნული მოსაზრების განმარტებისათვის. საზოგადოების ნებისმიერი წარმომადგენელი (ყოველ შემთხვევაში მათი აბსოლუტური უმრავლესობა) აღიარებს პატრიმონიალური

<sup>12</sup> ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია USAID-ის საქმიანობა.



ურთიერთობებისა და კორუფციის უარყოფით როლს ქვეყნის ცხოვრებაში, მაგრამ რეალურად იგი თვითონ მონაწილეობს ასეთ ურთიერთობებში და შესაძლებლობის ფარგლებში, სარგებლობს იმ სიკეთით, რომელსაც კლიენტელურ ურთიერთობათა სისტემა იძლევა. საჯარო მოხელეებს ხშირად დებენ ბრალს ქრონიზმში, ნეპოტიზმსა და ტრაიბალიზმში, მაგრამ იშვიათად მოინახება ადამიანი, რომელიც უარს იტყვის სარგებელი მიიღოს ნათესავის ან მეგობრისაგან, თუ ეს უკანასკნელი მნიშვნელოვან თანამდებობაზე აღმოჩნდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არაფორმალურ სიკეთეთა შეზღუდული რესურსების არსებობის პირობებში, საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებს აღნიშნული გზით გაიუმჯობესოს საარსებო პირობები, ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ არაფორმალური საზოგადოებრივი აზრი არ ეწინააღმდეგება კლიენტელიზმის იდეას, ადამიანთა აბსოლუტური უმეტესობა მაინც ვერ იღებს სარგებელს აღნიშნული სახის ურთიერთობებიდან.

მეორეს მხრივ უნდა აღინიშნოს საზოგადოების სურვილი, იხილოს საქართველო, როგორც ძლიერი, განვითარებული, დემოკრატიული სახელმწიფო. მოსახლეობის დიდ ნაწილს გააჩნია ამბიციის, იწოდებოდეს ევროპელად და არ სურს შეასრულოს განვითარებადი სამყაროს სოციალურად, ეკონომიკურად თუ პოლიტიკურად უუფლებო წარმომადგენლის როლი.

სწორედ ამ სურვილის რეალიზაციის მცდელობებით არის გამოწვეული ის ცალკეული წარმატებები, რაც სახეუა ქვეყანაში საერთო მძიმე სიტუაციის ფონზე:

- საზოგადოების ნაწილი აქტიურად ეძიებს არსებული კრიზისიდან თავდასხნის გზებს - საზოგადოების სხვადასხვა სტრატაში პერმანენტულად მიმდინარეობს დებატები როგორც ქვეყნის პოლიტიკური თუ ადმინისტრაციული მოწყობის, ისე ყოველდღიური პრობლემების (კომუნალური სერვისი, სკოლებში არსებული სიტუაცია და ა.შ.) გადაჭრის საშუალებების შესახებ.
- ქვეყანაში მოქმედებს საკმაოდ ძლიერი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც სხვადასხვა სფეროში (ადამიანის უფლებათა დაცვა, ანალიტიკური ცენტრები, ეკოლოგია და სხვ.) საკმაოდ წარმატებულად მოღვაწეობენ.
- საზოგადოებამ, რომელიც ინფორმაციას იღებს თავისუფალი მასმედიისაგან, რამდენჯერმე აიძულა სახელმწიფო, უარი ეთქვა დამოუკიდებელი საინფორმაციო საშუალებების შეზღუდვის მცდელობაზე<sup>13</sup>.
- არსებობს ზოგიერთი სახელისუფლებო შტოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმატებული თანამშრომლობის პრეცედენტები (წარმატებული კანონპროექტების მომზადება, ერთიანი საინფორმაციო ბაზების შექმნა, სამოქალაქო მონაწილეობისა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის გაძლერებისაკენ მიმართული ქმედებები).

თუმცა ეს ყველაფერი ჯერ კიდევ არაა საკმარისი იმისათვის, რომ მოხდეს რეალური გარღვევა არსებული კრიზისული სიტუაციიდან.

<sup>13</sup> კულმინაციას წარმოადგენდა 2001 წლის ნოემბერის მოვლენები. სახელმწიფო უშიშროების სტრუქტურების შეჭრას ყველაზე პოპულარულ დამოუკიდებელ ტელეკომპანიის ოფისში მასობრივი საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა. დემონსტრაციებმა ქალაქის ცენტრის პარალიზება გამოიწვია. ქვეყანა რეალურად აღმოჩნდა სამოქალაქო დაპირისპირების ესკალაციის წინაშე. სახალხო მღელვარებების შედეგად ძალოვანი სამინისტროს ხელმძღვანელებმა დატოვეს თავიანთი პოსტები, ხოლო პრეზიდენტი იძულებული გახდა სრული შემადგენლობით გადაეყენებინა მთავრობა და რთული პოლიტიკური ინტრიგები განეხორციელებინა საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით.

ადგილობრივი თვითმმართველობის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას, გარდა მოსახლეობის მოსახურების ხარისხის ამაღლებისა და ადმინისტრირების სისტემის გაუმჯობესებისა, აქვს კიდევ ერთი, ასევე მნიშვნელოვანი მიზანი - გააძლიეროს საზოგადოების ჩართულობა მმართველობით პროცესებში მონაწილეობითი დემოკრატიის გაფართოების მიზნით.

სამწუხაროდ, ის ნიჰილიზმი, რომლითაც საზოგადოება უყურებს საერთოდ სახელმწიფო ინსტიტუტების მოღვაწეობას, თვითმმართველობასთან დამოკიდებულებაშიც ვლინდება. ადგილობრივი არჩევნების სამართლიანად ჩატარების შემთხვევაშიც ნაკლებსავარაუდოა თვითმმართველობის სისტემის მუშაობის გაუმჯობესება. არსებული სამართლებრივი და ფაქტიური შეზღუდვების პირობებში შეუძლებელია ადგილობრივი მუნიციპალიტეტების გამართული, დამოუკიდებელი საქმიანობა.

სწორედ ეს იყო ერთერთი მიზეზი იმისა, რომ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უნდობლობით ეკიდებოდა თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებში მონაწილეობის საკითხს.

მიუხედავად ზემოთქმულისა, შეიმჩნევა გასული საუკუნის 90-იან წლებში (განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში) გამეფებული აპათიის დაძლევის სურვილი. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს 2002 წლის 2 ივნისის მუნიციპალური არჩევნები.

როგორც სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი, ისე დამოუკიდებელი ექსპერტები აღნიშნული არჩევნებისადმი მოსახლეობის დამოკიდებულების გამოვლენას გარდატეხის დასაწყისად მიიჩნევენ.

მართლაც 2002 წლის არჩევნები რამდენიმე მნიშვნელოვანი, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი, ნიშნით განსხვავდება წინარე არჩევნებისაგან.

**უარყოფითი მომენტები.** ბოლო პერიოდში ჩატარებული ყველა სხვა არჩევნებისაგან განსხვავებით (1995 და 1999 საპარლამენტო, 1998 მუნიციპალური და 2000 საპრეზიდენტო), 2002 წლის არჩევნები გამოირჩეოდა არაორგანიზებულობის უფრო დიდი ხარისხით. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს იყო ყველაზე არაორგანიზებული არჩევნები ბოლო 10 წლის განმავლობაში:

1. საარჩევნო სისტემა მოუმზადებელი შეხვდა არჩევნებს:

- დროულად ვერ მოხერხდა საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვა და განაწილება.
- არასრული და ნაკლოვანი იყო საარჩევნო სიები. ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი ნაწილი საერთოდ არ აღმოჩნდა რეგისტრირებული მაშინ, როცა საკმაოდ დიდი იყო ე.წ. მკვდარი სულების რაოდენობა - სიებში შეყვანილნი იყვნენ გარდაცვლილი და საქართველოდან წასული მოქალაქეები.
- არჩევნების შედეგების დათვლისა და გამოქვეყნების პროცესი დიდი ხნით გაიწელა, რამაც საზოგადოებაში დაბადა ეჭვი, რომ ხელისუფლების ზეწოლით ადგილი ჰქონდა შედეგების ფალსიფიცირების ფაქტებს.

საარჩევნო ადმინისტრაცია ამ მოვლენებს ფინანსების უკმარისობითა და საარჩევნო კანონმდებლობის დაუხვეწაობით ხნის.

2. ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ აღინიშნა ხელისუფლების მხრიდან როგორც საარჩევნო კანონმდებლობის მთელი რიგი უხეში დარღვევები, ისე სისხლის სამართლის დანაშაულიც:

- ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდში ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის მხრიდან ადგილი ჰქონდა თავიანთი მომხრეების ჯგუფთა გამოყენებას პოლიტიკურ ოპონენტთა წინააღმდეგ (ფიზიკური

ანგარიშსწორების მუქარა და მცდელობა, მასობრივი არეულობების გამოწვევა, საარჩევნო ადმინისტრაციის ოფისთა ბლოკირება შეიარაღებული პირების და ჯგუფების მიერ). ამ აქტივობებს, როგორც წესი, მსხვილ მოხელეებთან კლიენტელური ურთიერთობით დაკავშირებული პირები ახორციელებდნენ.

- არჩევნების დღეს ადგილი ჰქონდა საარჩევნო ბიულეტენების გატაცების შემთხვევებს. მაგალითისათვის, შეიარაღებულ პირთა უცნობი ჯგუფი დახვდა ავტომანქანას, რომლითაც საარჩევნო ბიულეტენები გადაქონდათ, განაიარაღა დაცვა და გაიტაცა მთელი დოკუმენტაცია. ამის შედეგად ქალაქ რუსთავში (დაახ. 150 ათ. მცხოვრები) არჩევნები რამდენიმე დღის დაგვიანებით ჩატარდა.
- სხვადასხვა სტრუქტურის თუ არაფორმალური (ხშირად კრიმინალური) დაჯგუფების მხრიდან ადგილი ჰქონდა დამოუკიდებელი დამკვირვებლებზე და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებზე ძალადობის ფაქტებს (ფიზიკური შეურაცყოფა, საარჩევნო უბნებიდან გარეკვა და სხვ.).
- არჩევნების დღეს გაირკვა, რომ საარჩევნო სიებში არ იყო შეყვანილი მოქალაქეთა ის ნაწილი, რომლებიც მხარს უჭერდნენ ან შესაძლებელი იყო, რომ მხარი დაეჭირათ ოპოზიციურ ძალებისათვის. საქმე კუროხებამდეც მივიდა - საარჩევნო სიებში არ აღმოჩნდა არა მარტო რამდენიმე ოპოზიციური პარტიის ლიდერი, არამედ მათი მეზობლებიც (მიმდებარე საცხოვრებელი კორპუსების ყველა მაცხოვრები).

ნიშანდობლივია, რომ ხელისუფლებამ, გარდა რამდენიმე განცხადებისა, ფაქტიურად არავითარი რეაგირება არ მოახდინა აღნიშნულ ფაქტებზე.

3. აღინიშნა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები არჩევნებში მონაწილე სუბიექტების მხრიდანაც:

- როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ისე არჩევნების დღეს და შემდეგაც ხშირი იყო არაკორექტული, დემაგოგიური გამოსვლები პოლიტიკურ ოპონენტთა წინააღმდეგ. გაისმოდა დაპირებები, რომ გამოქვეყნებული იქნებოდა კომპრომატები ამ უკანასკნელთა შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი ფაქტი, რომელიც მასმედიის საშუალებებით იყო გავრცელებული, აშკარა ცილისწამებას წარმოადგენს.
- არჩევნების დღეს გამოყენებულ იქნა არჩევნების შედეგების გაყალბების საქართველოში კარგად აპრობირებული სისტემა, ე.წ. *კარუსელები*, როცა ამა თუ იმ პარტიის მომხრეთა ჯგუფები ორგანიზებულად გადადიოდნენ საარჩევნო უბნიდან უბანზე და რამდენჯერმე აძლევდნენ ხმას.

აღიშულ საქმიანობებს, მეტნაკლებად ყველა პოლიტიკური პარტია აწარმოებდა.

**დადებითი მომენტები.** მიუხედავად ზემოთქმულისა, გამოიკვეთა რამდენიმე თვისობრივად ახალი ტენდენცია:

1. აღსანიშნავია, რომ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან არ ყოფილა არჩევნების შედეგებზე ზემოქმედების აშკარა შემთხვევები. წინა არჩევნებისაგან განსხვავებით, როცა ფალსიფიკაციისათვის მობილიზებული იყო მთელი სახელმწიფო მანქანა (ძალოვანი სამინისტროების, და განსაკუთრებით პოლიციის, ჩათვლით), 2002 წლის მუნიციპალურ არჩევნებზე ამამომრჩეველზე და პოლიტიკურ ოპონენტებზე ზეწოლას ძირითადად ადგილობრივი ნომენკლატურა ახდენდა. ეს არ იყო ერთიანი, მიზანმიმართული ქმედება რომელიმე, ერთი პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ. სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებს მხარდამჭერნი გამოუჩნდნენ სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულთა ადმინისტრაციებში, რაც მართალია უკანონო გარიგებების შედეგი იყო, მაგრამ გარკვეულწილად აბალანსებდა სიტუაციას.

2. პოლიტიკური პარტიების უმეტესობამ, უპირველეს ყოვლისა იმ პარტიებმა, რომლებმაც წარმატებას მიაღწიეს, წინა არჩევნებთან შედარებით, უფრო

ორგანიზებულად წარმართეს საარჩევნო კამპანია და გარკვეული პროგრამები წამოაყენეს, რაც ადრე ნაკლებ ხდებოდა. სხვადასხვა პოლიტიკურმა ძალის ქმედებებმა აჩვენა, რომ საქართველოში მიმდინარეობს ისეთ პოლიტიკურ ძალთა ფორმირების პროცესი, სადაც კლანურ ინტერესებისა და ხარისმატულ ლიდერთა ნაცვლად, წამყვან ადგილს პოლიტიკური პროგრამები იკავებენ.

3. 1999 და 2000 წლების არჩევნებთან შედარებით, პროცესების მონიტორინგში უფრო აქტიურად იყვნენ ჩაბმული სამოქალაქო ორგანიზაციები. ამ უკანასკნელთა ინტერესი და საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების ხარისხი მართალია მცირედ, მაგრამ მაინც გაიზარდა. ამავე დროს გაიზარდა როგორც მონიტორინგში მონაწილე ორგანიზაციების ოდენობა, ისე მათი ორგანიზებულობისა და კვალიფიკაციის დონეც.

\* \* \*

ყველაზე მნიშვნელოვანი, რითაც 2002 წლის 2 ივნისის არჩევნები განსხვავდება წინამორბედი არჩევნებისაგან, არის ამომრჩეველთა აქტიურობის მნიშვნელოვანი ზრდა. მართალია ეს საზოგადოების ნაწილს ეხება და არა მთელ მოსახლეობას, მაგრამ პროგრესი აშკარად სახეზეა. დამოუკიდებელ დამკვირვებელთა მიერ ჩატარებული პარალელური დათვლის მონაცემებით, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 60.1 %-მა. თუ იგივე 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში საარჩევნო უბნები ფაქტიურად ცარიელი იყო და ოფიციალური მონაცემები მოსახლეობის დაახ. 2/3-ის არჩევნებში მონაწილეობის შესახებ, აშკარად ფალსიფიცირებულია, 2002 წლის მუნიციპალურ არჩევნებში მონაწილეთა რიცხვი ახლოს დგას რეალობასთან.

ამომრჩეველთა აქტიურობა განსაკუთრებით მაღალი იყო რეგიონებში. ზოგიერთ საარჩევნო ოლქში ელექტორატის 80-90% და მეტი გამოცხადდა. ეს მართლაც რეკორდული მაჩვენებელია და დიდ საზოგადოებრივ ინტერესზე მეტყველებს<sup>14</sup>. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს რეგიონებში უფრო მეტად იგრძნობა სწრაფვა თვითმმართველობისაკენ, გარკვეულწილად ახსენით, თუ რატომ მოვიდა ამდენი ამომრჩეველი მუნიციპალურ არჩევნებზე, რომლებიც, როგორც წესი დიდი აქტიურობით არც ერთ ქვეყანაში არ გამოირჩევა.

მართალია მრავალ ათეულ ათას ამომრჩეველს, საარჩევნო სიებში არსებული ხარვეზების გამო, არ მიეცა საარჩევნო უფლების რეალიზაციის საშუალება, ხოლო საარჩევნო ადმინისტრაციის არაკომპეტენტური ქმედებების შედეგად ბიულეტენთა დიდი ნაწილი ბათილად გამოცხადდა, საზოგადოების აქტიურობის ზრდა მაინც სახეზეა.

მიუხედავად არჩევნების დღეს ცუდი ამინდისა, საარჩევნო უბნებზე მაინც ხალხმრავლობა იყო. ათასობით მოქალაქე საათობით ედავებოდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და მოითხოვდა საარჩევნო სიებში შეყვანას, როცა აღმოაჩენდა, რომ ის არსად არ იყო რეგისტრირებული. იყო შემთხვევები, როცა საარჩევნო უბნები დათქმული ვადიდან რამდენიმე საათის დაგვიანებით იხსნებოდა. ამომრჩეველთა მასა ქუჩაში ადგა და წვიმის მიუხედავად არ იშლებოდა, რათა ხმა მიეცა თავიართი სასურველი კანდიდატისათვის.

რა თქმა უნდა ელექტორატის აქტიურობა ყველა რეგიონში ერთნაირად მაღალი არ ყოფილა. არ ყოფილა მიღწეული აქტიურობის ის ხარისხიც, რაც 80-იანი წლების მიწურულისათვის, ნაციონალური მოძრაობის პერიოდში შეინიშნებოდა, მაგრამ 90-იანი წლებში გამეფებული აპათიის შემდეგ, აშკარად სახეზეა საზოგადოების გააქტიურების პროცესი.

<sup>14</sup> რა თქმა უნდა არ ვგულისხმობთ საბჭოური ტიპის არჩევნებს, როცა ფალსიფიცირებული ოფიციალური მონაცემებით არჩევნებში ელექტორატის 99-100% იღებდა მონაწილეობას.

ზემოთქმული სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იქნეს ახსნილი.

1. შესაძლოა მოსახლეობის გააქტიურების მიზეზი ხელისუფლების რეიტინგის მკვეთრი დაცემა იყოს. ელექტორატი ხმას აძლევდა იმ პარტიების სასარგებლოდ, რომლებიც ხელისუფლების რადიკალური კრიტიკით გამოდიოდნენ. აღსანიშნავია, რომ მოქალაქეთა კავშირმა, მმართველმა პარტიამ, რომელიც მთლიანად აკონტროლებდა ყველა დონის არჩევნებს 1995 წლიდან მოყოლებული და ყოველთვის სულ მცირე, 50-60%-ით იმარჯვებდა, 2002 წლის არჩევნებში ხმათა 2%-ც კი ვერ მოაგროვა.

2. როგორც ჩანს, ის ნიჰილიზმი და პესიმიზმი, რომელიც 90-იან წლებში იყო გაბატონებული საზოგადოებრივ მენტალობაში, თანდათან ქრება. ამავე დროს არის საფრთხე, რომ ხელისუფლების უმოქმედობის ან დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მოზღვავებულმა საზოგადოებრივმა ენერჯიამ ულტრამემარცხენე, რადიკალურ მიმდინარეობებში ჰპოვოს რეალიზება.

3. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, 2002 წლის მუნიციპალურ არჩევნებში წარმოდგენილი იყო რადენიმე პოლიტიკური პარტია, რომელთაც გამარჯვების მეტნაკლებად თანაბარი შენსები გააჩნდათ. განსხვავებით ზოგიერთი წინამორბედი არჩევნებისაგან, როცა ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული ტოტალური გაყალბებისა და საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევების პირობებში, უკვე წინასწარ იყო ცნობილი გამარჯვებული პარტიის (მოქმედი მმართველი პარტია) ვინაობა.

4. სხვადასხვა საზოგადოებრივ სტრატას არჩევნებში მონაწილეობის სხვადასხვა მოტივაცია გააჩნდა:

- რეგიონები ითხოვენ მეტ დამოუკიდებლობას მუნიციპალურ საკითხებში.
- მოხდა მარგინალური ჯგუფების გაერთიანება სხვადასხვა, მემარცხენე ორიენტაციის პოლიტიკური ძალების გარშემო<sup>15</sup>.
- შედარებით მემარჯვენე ორიენტაციის მქონე პარტიებმა დროულად უზრუნველყვეს ბიზნესისა და ოლიგარქიული წრეების მხარდაჭერა.

რა თქმა უნდა შეიძლება 2002 წლის მუნიციპალური არჩევნების შედეგები სხვა მიზეზებითაც იქნას ახსნილი, მაგრამ ჯერ საამისოდ მეტად მცირე დრო არის გასული.

## დასკვნები

რა დასკვნები შეიძლება გაკეთდეს ყოველივე ზემოთქმულიდან?

- საერთოდ არჩევნებმა აჩვენა ძველი, დღემდე მოქმედი პოლიტიკური ძალების ფაქტობრივი გაკოტრება. გამარჯვებულებს შორის არიან მხოლოდ ის პარტიები, რომლებმაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში დაიწყეს ფუნქციონირება.
- მიუხედავად ამისა საეჭვოა, რომ პოლიტიკური პროცესები საქართველოში ამ ეტაპზე დაჩქარდეს. ნომენკლატურა ჯერჯერობით კვლავ ფლობს მართვის უმთავრეს ბერკეტებს და სერიოზულ ანგარიშს არ უწევს არც საზოგადოებრივ აზრს და არც პოლიტიკურ პარტიებს.
- სახეზეა საზოგადოების გააქტიურების პროცესი. ხელისუფლება, თავისი კლანური მენტალობიდან გამომდინარე, შემდგომი დემოკრატიზაციის შემაფერხებელ ძალად ყალიბდება, ხოლო რეფორმების მოთხოვნები უკვე საზოგადოებიდან (ქვემოდან) მოდის. ამ მხრივ საქართველოში არსებული სურათი თანდათან უახლოვდება ცენტრალური თუ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გასული საუკუნის 90-იან წლებში არსებულ სიტუაციას.

<sup>15</sup> ნაციონალისტურად განწყობილი ელექტორატი, სოციალურად და ეკონომიურად ყველაზე უფრო გაჭირვებული ფენები, ლიბერალური ინტელიგენცია და პროდასავლური პოლიტიკური ორიენტაციის მქონე პოლიტიკური ძალები არჩევნებში ფაქტიურ მოკავშირეებად მოგვეკვლინენ.

- რეგიონებში სულ უფრო და უფრო აქტიურდება თვითმმართველი ერთეულების უფლებების გაზრდის მოთხოვნა. რეგიონები (სოფლები, ქალაქები, რაიონები) უკვე აღარ წარმოადგენენ ცენტრის (თბილისის) ნებასურვილის უსიტყვო შემსრულებლებს, მათ გაუჩნდათ თავიანთი ამბიციები, რომლებიც თანდათან უფრო და უფრო ძლიერად იკვეთება.

აღნიშნული მოვლენების ფონზე საქართველოს საშინაო პოლიტიკის ერთერთ უმთავრეს (თუ მთავარს არა) პრიორიტეტს წარმოადგენლობითი დემოკრატიის გაძლიერებისა და საზოგადოების ჩართულობის რეალური ხელშეწყობა წარმოადგენს.

ამ პროცესში მეტად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება დასავლური დახმარების ფაქტორს, რომლის დახმარების გარეშე შესაძლებელია, რომ კონსერვატორულმა ძალებმა მოახერხონ ჯერ კიდევ მყიფე დემოკრატიული ინსტიტუტების ლიკვიდირება.

საერთაშორისო დონორმა ორგანიზაციებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ადგილობრივ სპეციფიკას და მოკაშირეები ეძებონ არა ხელისუფლების ფსევდოლიბერალურად განწყობილ ეშელონებში, არამედ სამოქალაქო საზოგადოებაში.

აუცილებელია მოხდეს საქართველოსათვის გაწეული დახმარების გამჭვირვალების ხარისხის გაზრდა. დახმარებების აუცილებელ პირობებად უნდა იქნეს მიხნეული ქვეყნის ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი პროგნოზებისა და პრიორიტეტების მკაფიო განსაზღვრა და ამ უკანასკნელთა იმპლემენტაციის პერიოდში ძლიერი საზოგადოებრივი კონტროლის მოთხოვნა.

დასავლური ფინანსების ეფექტური გამოყენება ხელს უნდა უწყობდეს არა საქართველოსათვის მიცემული კრედიტებისა და გრანტების დიდი ნაწილის დაღეპვას ბიუროკრატიის პირად ანგარიშებზე, არამედ თანდათან მზარდი დემოკრატიული ინტიტუტების კიდევ უფრო გაძლიერებას.

წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოში, ისე როგორც პოსტკომუნისტური სივრცის ბევრ ქვეყანაში, შეიძლება მეტად არასასურველი სცენარი გათამაშდეს, რაც სოციალურ მღელვარებებში, ხელისუფლების კრიმინალიზაციაში და მოსახლეობაში ანტიდასავლური განწყობის ზრდაში იქნება გამოვლენილი, აქედან გამომდინარე ყველა უარყოფითი შედეგით.